


მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(45) 2013 წ. 1-15 აპრილი ფასი 50 თეთრი

ღანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **იოსებ თედიაშვილი**



დაიბადა 1980 წელს ქობულთაში 1997 წლიდან 2001 წლამდე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტზე სპეციალობით სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა.

2001 წლიდან 2003 წლამდე მუშაობდა აუდიტორულ ფირმა „გარანტი“ სპეციალისტის თანამდებობაზე.

2003 წლიდან 2005 წლამდე ქსაგარეჯოს გამგეობაში ეკონომიკური განყოფილების სპეციალისტი;

2005 წლიდან 2007 წლამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალურ სამმართველოს ოპერატიულ-სამძებრო განყოფილების ინსპექტორია.

2007 წლიდან 2010 წლის სს „კავკასავტომობილისტრალის“ ეკონომისტი;

2010 წლიდან 2011 წლის სექტემბრამდე სს „კავკასავტომობილისტრალის“ ტექნიკური განყოფილების ინჟინერ-ეკონომისტი.

2007 წლიდან 2011 წლის სექტემბრამდე შპს „გარანტი“ კონსულტანტია;

2011 წლის სექტემბრიდან სპეციალისტი (ქონების შემფასებელ-ექსპერტი).

2012 წლიდან მონაწილეობს ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის პროექტში, არის აუდიტორი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი **ვეფხია (ბოჩა) ჩერქეზიშვილი**



დაიბადა 1965 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურში.

1982 წელს დაამთავრა მანავის №1 საშუალო სკოლა.

1984-1986 წლებში მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური.

1986-1992 წლებში მუშაობდა თბილისის წყალსადენის საავარიო სამსახურის ინჟინერ-მექანიკოსად.

1993-1997 წლებში სწავლობდა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტ „აჭარაში“ იურიდიულ ფაკულტეტზე.

1998-2002 წლებში არჩეული იყო საგარეჯოს რაიონის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ.

2002-2006 წლებში არჩეული იყო თოხლიაურის საკრებულოს თავმჯდომარედ.

2004-2006 წლებში პარალელურად იყო საგარეჯოს რაიონის ასოცირებული საკრებულოს თავმჯდომარე.

2006 წელს დაინიშნა საგარეჯოს რაიონის გამგებლის პირველ მოადგილედ.

2008 წლიდან საგარეჯოს რაიონის გამგებლის მოადგილე იყო 2013 წლის 1 აპრილამდე.

2013 წლის 1 აპრილიდან გადაყვანილი იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსად.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების უფროსი **თეა თარიგანიშვილი**



დაიბადა 1975 წელს, ქ. საგარეჯოში.

განათლება უმაღლესი, ბაკალავრის ხარისხი. პროფესია – ეკონომისტი.

სამუშაო გამოცდილება – გამომცემლობა „ბუნებაპრინტი“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქალაქ საგარეჯოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი **მარიკა (მარინა) თოლოგაშვილი**




დაიბადა 1965 წელს, საგარეჯოში. 1981 წელს დაამთავრა საგარეჯოს IV საშუალო სკოლა. 1987 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოყენებითი გეოდეზიის სპეციალობა.

1990-1992 წლებში მუშაობდა ტექნიკური უსაფრთხოების ინჟინრად მოძრავ-მექანიკულ კოლონა №1-ში.

საარჩევნო გამოცდილება აქვს 1991 წლიდან.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



გაზაფხული პატარბლოსს

მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

8 აპრილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მიიქცა ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს პაატა ბუხარიაშვილს. სხდომა ესწრებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ცისმარი თაფიაშვილი.

სხდომაზე განხილვის შემდეგ რეგისტრაციაში იქნა გატარებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "თანადგომა ბიძინა ივანიშვილს", რომლის თავმჯდომარედ დეპუტატი ლეილა ოტიაშვილი დაამტკიცეს.

საკითხის "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ უსტიანიშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ცვლილება შევიდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში და მისი მოცულობა განისაზღვრა 6274,0 ათასი ლარის ოდენობით. კერძოდ, 135,9 ათ. ლარით შემცირდა 2013 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი. შემცირდა ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული და ტენდერში დაკლებული თანხებით. კერძოდ: დასუფთავების ღონისძიებები - 27,4 ათ. ლარით; სკოლამდელი დაწესებულებების კვების ხარჯები -50,4 ათ. ლარით; სათ-

ნოების სახლის კვების ხარჯები - 28,2 ათ. ლარით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებობაში მიმდინარე რეორგანიზაციასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციის შექმნასა და ადგილობრივი ბიუჯეტის დღესასწაულთან დაკავშირებით საპრემიო თანხის დამატებამ ხელფასის მუხლი გაზარდა 154,1 ათ. ლარით და შეადგინა 1931,9 ათ. ლარი.

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გაიზარდა გასულ წელს ქ. საგარეჯოს ცენტრის რეაბილიტაციაზე აღებული ვალდებულების დასაფარავად გამოყოფილი 69,1 ათ. ლარით. და სოფ. გომბორში სტიქიის შედეგად დაზიანებული მოქალაქე თითბერ გოდერძიშვილის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი ბოგირის შესაკეთებლად საჭირო ბეტონის აღმირებული მიღების შესაძენი 0,8 ათ. ლარით.

წვალთმომარაგების სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდა და გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი №1 სატუმბ სადგურზე მწკორიდან გამოსული კომპლექსური გამანაწილებელი მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი 6,0 ათ. ლარით.

გაიზარდა აგრეთვე აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასამართლო რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ სუბსიდირება 6,0 ათ. ლარით, ახლად შექმნილი იორმულაღნოს სასამართლო წყლის ქსელის მარეგულირებლების შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით.

გაიზარდა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაერ-

თიანების ოფისში სველი წერტილების დასამონტაჟებლად გამოყოფილი 3,0 ათ. ლარით.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა აიპ საგარეჯოს №105 კომპლ. სასპორტო სკოლის, საცურაო აუზის კედლების შესადგენად საჭირო სადგავის შესაძენი 0,4 ათ. ლარით და მწკორიდან გამოსული ცხელი წყლის ცირკულარული ტუმბოს შესაძენი 0,5 ათ. ლარით, სულ 0,9 ათ. ლარით.

დაიკავშირა ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უნარშეზღუდული მოქალაქეთათვის ეტლების შესაძენი 7,9 ათ. ლარი.

სხდომაზე განხილულ საკითხზე "სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 იანვრის № 2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ". დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რის მიხედვითაც აღნიშნული დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

საკითხის "არასამეწარმეო-იურიდიული პირის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებების საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №10 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" განხილვის შემდეგ საკრებულომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ცვლილება შევიდა აღნიშნულ განკარგულებაში.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თათბირი

2 აპრილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს უძღვებოდა ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორბი ლოლაძე. თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები ბესო მარტიანიშვილი, ცისმარი თაფიაშვილი.

გამგებლის სამსახურების უფროსები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები.

თათბირზე საგარეჯოს სოფლების ტერიტორიაზე არსებული წყალსადენების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და სასმელი წყლის ნიმუშებში სასმელი წყლის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ მანევრებლუბზე ინფორმაცია გააკეთა აიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასამართლო რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილემ ხათუნა ჯანიაშვილს, როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მთელ რიგ ტერიტორიულ ერთეულებში სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მანევრებლები სახელმწიფო სტანდარტთან შედარებით საკმაოდ მაღალია, რაც აუცილებელ ყურადღებას და სათანადო ზომების მიღებას საჭიროებს.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა თათბირის მონაწილეებს წარუდგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები, სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ჯავახიშვილი, მთავარი სპეციალისტები: აბაბი დეგანოზიშვილი, ბიძი ათაბაგაშვილი, ბიძი მათიაშვილი, უფროსი სპეციალისტი - ბიორბი დგაძე.

სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა ვრცლად ისაუბრა სამსახურის ფუნქციასა და აიპ სამომავლო საქმიანობაზე, რომელიც მათი სამსახურის თითოეული თანამშრომლის წინაშე დგას. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თითოეულ ზონას ამავე სამსახურიდან ეყოლება პასუხისმგებელი პირი, რომელიც კურირებას გაუწევს სოფლის მეურნეობის ყველა იმ პროექტსა და პროგრამას, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს.

თათბირზე, ასევე მოისმინეს ზეპირი ინფორმაციები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში მცირემიწიან ვერძებზე საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განსახორციელებლად მიმდინარე პროცესების შესახებ, კონკრეტულად, სასოფლო-სამეურნეო ბარათების მოსახლეობისთვის დარიგებისა და ადგილებზე მიმდინარე ხენა-თესვის მდგომარეობის შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული გზები აღნიშნულ საკითხებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ბული მიწის ფართობები, ან კომისიამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ შეიტანა ინფორმაცია. ასე რომ, საბოლოო ჯამში, 900-მა ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება და დამატებითი სივების 316 ოჯახი უახლოეს ხანში ელოდება ფულადი დახმარების მიღებას. მოსახლეობა კმაყოფილია მთავრობისგან გაწეული დახმარების ამ სახით, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც, მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილოებას გამოხატავენ. ისინი მიზეზად ასახელებენ მათი ზარალის დაბალი პროცენტით შეფასებას, ან მათზე რიცხული ფართობის არასწორად მითითებას. იყო შემთხვევებიც, როცა რეგისტრაციაში გაიარეს პიროვნებებმა, მაგრამ არ აღმოჩნდნენ სივებში. თუმცა ამას უკვე მიეცა მსგელოება და უახლოეს მომავალში ყველაფერი გამოსწორდება - ყველა მიიღებს სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ბარათების მცირემიწიან ვერძებზე გაცემას, ჩვენთან 2 აპრილისთვის 630 კაცმა უკვე მიიღო კომბინირებული ბარათი (1,25 ჰა-ზე). 630 ბარათიდან 200 ბარათი უკან დაბრუნდა, რადგან მათ უკვე მოხნული, დამუშავებული პქონდათ თავიანთი მიწის ნაკვეთები. რაც შეეხება ნომინალურ ბარათს ის - 1100 კაცებელმა მიიღო.

## დაპირინებული დახმარება კაკაბეთის რწმუნებულის - ბიორბი ციძუბაძის

# „სეტყვისგან დაზარალებულები დახმარების მიღებას სექტემბრიდან ელოდებიან“



კაკაბეთის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა უკვე აიღო ფულადი დახმარება გასული წლის ზაფხულში სეტყვისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. კაკაბეთის რწმუნებულის ბიორბი ციძუბაძის განმარტებით: - კაკაბეთის მოსახლეობიდან სეტყვით დაზარალებულთა პირველად შექმნილ სივებში გამორჩენილი იყო მოსახლეობის გარკვეული

ნაწილი. როცა სივები დაზუსტდა და მათმა რიცხვმა 900-ს მიაღწია, აღმოჩნდა, რომ დაზარალებულთა სივებში ვერ მოხვდა გარკვეული კატეგორია მოსახლეობისა, რომელთაც ან თავად გამორჩათ მიუთითებინათ ზარალის ოდენობა და მათ სარგებლობაში არსე-

# საბარეჯოს მუნიციპალიტეტი თბილისი მანაში



**მანაშვილის თემის რწმუნებულს, თამარ მახანიშვილს,** ამ ინტერვიუზე

20 მარტს თემის მოსახლეობასთან გამართული შეხვედრის ბოლოს ვეწვიე, სადაც დასახელდა სოფლის მიმდინარე წლის პრიორიტეტები. ფაქტობრივად სოფლის რწმუნებულისათვის, რომელიც ამ თანამდებობაზე II მარტიდან დაინიშნა, ეს იყო პირველი ოფიციალური შეხვედრა თემის მოსახლეობასთან, სადაც პრიორიტეტებთან ერთად, ბევრი სხვა საჭიროებოტი საკითხებიც დაისვა და განიხილეს. აქედან გამომდინარე, მას სრულიად არ გასჭირვებია პასუხი გაეცა ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე.

**ცნობისათვის** თამარ მახანიშვილი წარმოშობით პატარა ჩაილურიდანაა, აქვე დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა; ასევე დამთავრებული აქვს სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და სამუსიკო სკოლის შვიდი კლასი. 1994-2000 წლებში მუშაობდა მანაშის საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებლად. პყავს მეუღლე – მირიან კუჩანაშვილი და ორი ვაჟი.

– როგორც მანაშელმა, სოფლის პრობლემების შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა თამარმა, – მაგრამ ამ შეკრებაზე უფრო ნათლად წარმოინდა ის პრობლემები, საწუსარი, რაც ორივე სოფლის მოსახლეობას მიეღო რიგი წლებია აწუხებო. ძირითადად კი ეს მანაც სასმელი წყლის პრობლემაა, რომელიც ზოგჯერ მთელი 2-3 დღის განმავლობაშიც კი ვერ მიეწოდება სოფლის ამა თუ იმ უბანს. არადა, მანაშში იმდენი წყლებია, ჩვენიდან სასმელი წყალი ჩაილურშიც კი აქვთ გაყვანილი, ჩვენ კი სანატრელი გვაქვს. ოჯახში თუ რამე აკ-

ლია ადამიანს, ამას როგორმე გაუძღვება, მაგრამ ყველა დამეთანხმება, რომ უწყლოდ ღიღინან ვერაფერს გაძღვება. ამიტომ მანაშში მოსიარულე ადამიანებს, რომ როგორმე დასაღვეი წყალი მოიმარაგონ. აქედან გამომდინარე, ამ შეხვედრაზე მანაშის მოსახლეობამ პრიორიტეტად სასმელი წყლის მომარაგების საკითხი მიიჩნია და ყველა ამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

– **ბურდიანის მოსახლეობისათვისაც იგივე პრიორიტეტი შეიძლება?**

– არა, აქ პრიორიტეტად სოფლის მისახველელი გზის შეკეთება დასახელდა. ამ გზით ბურდიანში მისვლა კარგ ამინდშიც კი გაჭირვებით შეიძლება, რომ არაფერი ითქვას უამინდობაზე და შევეჯერდით, რომ ეს გზა უსათუოდ უნდა შეკეთდეს.

– **თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ პრობლემების გადასაჭრელად გეგნებათ კი სათანადო ფინანსები ამ საშუალების შესასრულებლად?**

– კი, როგორ არა, სულ ახლახანს სასმელი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად ჩაგვირიცხა 54 ათასი ლარი, ასევე 2629 ლარი – ბურდიანის გზის შეკეთებისთვის.

სასმელი წყლისა და ბურდიანის სასოფლო გზის გარდა, სოფელში სხვა ბევრი პრობლემაა, მოსაწესრიგებელია შიდა საუბნო გზები, გასაწმენდია სოფელზე განმავალი ხევების კალაპოტები და სანი-აღვრე არხები...

სოფელში არსებული ხევების მდგომარეობა კარგადაა ცნობილი; ზოგ ადგილას მათი კალაპოტები იმდენადაა ამოვსებული, რომ 2-3 მეტრითაა აცილებული სავარგულებზე, ტორავს და აჭაობებს მოსახლეობის ბაღ-ბოსტნებს; უკეთეს მდგომარეობაში არც კახეთის გზატკეცილის გასწვრივ მდებარე ტერიტორიები და სანი-აღვრე არხებია. ისინი ისეა გადავსებული, რომ წვიმების დროს ვეღარ ატარებენ წყალს და ამის გამო ფეხით მოსიარულეებს სამანქანო გზაზე გადასვლა უწევთ. ეს გზა განსაკუთრებით საშიშია აქ ყოველდღიურად მოსიარულე ასობით მოსწავლისათვის...

ამ მდგომარეობის შესახებ ჩემთვისაც კარგადაა ცნობილი, რადგან ამ რამდენიმე წლის უკან ჩემს შეილებსაც უხდებოდათ სკოლაში ამ გზით სიარული. არ ვიცი რამდენად ოპერატიულად მოგვარდება ეს საკმე, მაგრამ მე უსათუოდ დაგაყენებ სათანადო საკითხს ამ არხების გაწმენდაზე და მანამდე არ შევეშვები, ვიდრე ისინი არ მოწესრიგდება, რაც შეეხება ხევების გაწმენდას, საამის თანხები სოფელს ჯერჯერობით არ გააჩნია და როგორც კი ამის საშუალება მოგვეცემა, ამ საქმესაც მივხედავ.

– **როგორც ცნობილი გახდა, მანაშის**

**თემის მოსახლეობის უმრავლესობა გამორჩენილი იყო საქართველოს მთავრობის მცირეწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამიდან. მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის სოფლებში უძველესი კარგა ხანია რიგდება სასოფლო-სამეურნეო ბაზათები და მიწების დამუშავებაც დაიწყო. საგაზაფხულო ხენა-თესვას თავისი აგრეთადები და წესები აქვს და მოსახლეობას აინტერესებს, მოესწრებათ თუ არა ვადებისთვის ამ ბაზათების მიღება და ფართობების დამუშავება?**

– ამ პრობლემის შესახებ ჩვენ უკვე ჩაყენებული გვყავს საქმის კურსში ზემდგომი ორგანოები და როგორც გვირგებინა, იგი ამ უახლოეს ხანებში დადებითად გადაწყდება. ბარათს მიიღებს ყველა ის 950 ოჯახი, ვინც ჩვენთან იყო დარეგისტრირებული. ამის გარდა, სოფელს „სოფლის პროგრამის“ ფარგლებში აქვს „ბელარუსის“ მარკის ახალი ტრაქტორი, რომელიც შედგათიან ფარგლებში მოეხმარება მოსახლეობას ფართობების დამუშავებაში.

– **რას გეგმავთ ერთი კვირით პრობლემის – საქონლის საძოვრების სიმცირის შესახებ? როგორც ისინი აცხადებენ, არსებული საძოვრები საკმაოდ დაშორებულია სოფლიდან. ამ საძოვრებით ძირითადად ისინი სარგებლობენ, ვისაც ბევრი ცხვარ-ძროხა პყავს, ერთ და ორსულიან მოსახლეს კი უჭირს იქ საქონლის ტარება. ადარ არის დარჩენილი სოფლის ხეების ამარა საძოვრები, ისინი სარგებლობდნენ და მერე სხვადასხვა პირებმა – კებურაშვილებმა და სხვებმა მიიტაცეს?**

– 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თემს ოფიციალურად ერიცხება 883 ჰექტარი საძოვარი-ციფეზი, თარაქში, ბურდიანში და მანაშში არსებული გორები.

იმავე მდგომარეობით აქ აღრიცხულია 2800 სული ცხვარი და 910 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, იმ დროს, როცა მანაშში მიწების პროვატიზაცია მიმდინარეობდა, მანაშელს „შხედველობიდან გამორჩათ“ საძოვრების საკითხი, მათ გამოყოფაზე მაშინ არაფერი იფიქრა, დღეს არსებითი სურათი გვაქვს, არ ვიცი რამდენად შეეძლებ ამ საკითხის გადაჭრას, მაგრამ ყველანაირად შევეცდები, რომ ეს პრობლემა რამენაირად მოგვარდეს.

– **რას იხსნის სოფლის გაზოფიცირების სამუშაოების დაწყების შესახებ?**

– არ ვიცი, კონკრეტულად როდის დაიწყება ეს სამუშაოები, მაგრამ მე მაქვს ინფორმაცია, რომ მთლიანი გაზოფიცირება 2014 წლის ბოლოსათვის უნდა დასრულდეს.

– **მართალია ამ თანამდებობაზე დიდი ხანი არაა რაც დაინიშნეთ, მაგრამ ალბათ დაინტერესდებოდით სოფლის სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებებით?**

– როგორც ცნობილია, მანაშში ფუნქციონირებს ერთი საჯარო სკოლა და ორი საბავშვო ბაღი. აქედან ამ სასწავლო წელს ჩატარდა საჯარო სკოლისა და მანაშის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, რასაც ვერ ვიტყვი ბურდიანის საბავშვო ბაღის შესახებ, რომელიც კატასტროფულ მდგომარეობაშია და დროზე საჭიროებს მიხედვას.

– **სოფლის კულტურულ, საგატრო და სამედიცინო მომსახურების შესახებ რას იტყვით?**

– სოფელში საკმარისადაა საჭირო დანიშნულების ობიექტები, გახსნილია და მუშაობს საექიმო ამბულატორია, რასაც ვერ ვიტყვით კულტურული ობიექტის შესახებ.



სადღესოდ ამ ობიექტებიდან სოფელში ფაქტობრივად აღარაფერი არ ფუნქციონირებს. გამგეობის შენობაშია მოთავსებული გაუქმებული ბიბლიოთეკის წიგნაღი ფონდი. ჩემი სურვილია, რომ ადღგეს სოფლის ბიბლიოთეკა, მაგრამ როგორ უწყური ამ სურვილს ახდენა, ამას მომავალი გეგმვენებს.

– **როგორც ცნობილია, ამ ბოლო ხანებში მანაშში მოეწყო რამდენიმე მინი სპორტული მოედანი, მაგრამ სიტყვილია გურამ გოგოლაურის, ნიკო მახარაშვილის და ირაკლი კუპატაძის სოფელში არ იყოს საჭიდაო დარბაზი. მანაშის მოჭიდავეებით მუდამ და ახლაც ერთ-ერთი მოწინავე სოფელია ჩვენს მუნიციპალიტეტში. კარგი არ იქნებოდა, რომ საგარეჯოში საგარჯიშოდ სიარულის ნაცვლად, აქ ადგილზე ევარჯიშათ მათ.**

– სოფლის რომელი რწმუნებული იტყოდა უარს, რომ სოფელში იყოს სათანადო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კერები, სპორტული მოედნები, საჭიდაო დარბაზი. მეც დიდი სურვილი მაქვს, მანაშში გექონდეს კარგი საჭიდაო დარბაზი, მაგრამ ჯერჯერობით საამისო პირობები არაა. პირველ რიგში, საჭიროა სათანადო ადგილისა და ფართის გამოყოფა ან ახლის აშენება, მერე კი სხვა საკითხებიც მოგვარდება. თანამედროვე სოფელი ასევე ძნელი წარმოსადგენია კულტურის კერების უქონლობის გარეშე, არის სხვა უამრავი პრობლემა, მაგრამ ხელის ერთი დაკვრით არასოდეს აშენებულა და იმედია სამომავლოდ ამ საკითხებსაც ეშველება.

– **ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ერთ საგაზოთო წერილში ძნელია სრულად წარმოაჩინო და აღწერო ყველა ის ნიუანსი, რაც სადღესოდ აწუხებს მანაშს, ამიტომ ამ თავყრილობის შემდეგ კიდევ უფრო რომ არ გადაგვალაოთ ბოლო შეკითხვას დაგისვამთ. როგორ შეეწყეთ ამ ახალ თანამდებობას, ცოტა ძნელი ხომ არ გეჩვენებათ სოფლის წინამძღოლის როლი.**

– როცა მე ამ თანამდებობაზე ვინიშნებოდი, სრულად მქონდა შეგნებული, გათვიცნობიერებული ამ საქმის ყველა დეტალი და ისე ვაგებედე ამ საქმის შექმნა. ამას გარდა, როგორც ეს თანამედროვე განვითარებულ ქვეყნების პრაქტიკაშია, სოფლის საქმეების კეთების დროს მინდა გვერდით დავიყენო სოფლის მოსახლეობა, რომ ყველაში გაიგოს და იცოდეს, რა კეთდება მათ საკეთილდღეოდ და თავიანთი წვლილიც შეიტანონ ამ საქმეში. ამ მიზნით გადაწყვეტილი მაქვს და უახლოეს ხანებში ვაპირებ შექმნა სოფლის მრჩეველთა საბჭო, რომელშიაც ყველა უბნიდან შეყვანილი იქნებოდა წარმომადგენლები და ერთობლივად შევიმუშავებთ და დავგეგმავთ ჩვენი სამომავლო საქმიანობას, ხოლო თუ როგორ შეეძლებ ამის განხორციელებას, ამას მომავალი წარმოაჩენს.

ესაუბრა მიმი ლაპახიშვილი





# 15 აპრილი სიყვარულის დღეა, გილოცავთ!

## „სიყვარული არ ცვდება“...

ყველაფერი კმარაა მისი ქვეყნით, ცვლება, იფიტება, მტრად და ვერფლად უბრუნდება მარადისობის წიალს. ათასი ბაბილონის გოლოლი ჩამოაქცია ქაშთა სიამამი. ათასი ბოროტი ბულის ძახილი შეერთა დიდ უღაბნოთა დასაბამო მღუმარებას. უღაბურებიან სემირამილას ბაღებიც ...

ვინ იცის, რამდენ ამპარტავან სულის ზვარვას მოელო ბოლო, რამდენი ამაო ზრახვა ჩაჰყვამთ სამუდამო ძილში ბედისა და სახელის თავიშეხვედრებულ მაკიებლებს? “და ბაგვარებით ხრავინ ძვირასა”.

ინავლება სიყვარულიც...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბოლომდე ლოტოქო ფსევბი კაღნიერად ბაჰკვეთინ ძვიან ბალავარს და სარკოვანის ათასწლოვან სიბრლიდან კვლავ ამოგიზიზღება “ვით ბაზმა ბაშტრობელი”, - ჩვილი, უმწიო, სამარადისო ხმა: “კმეხს, სიცოცხლეო ჩემო!”

*გურამ ასათიანი*

<p><b>მუხრან მაჭავარიანი</b></p> <p>დარტისთვის დარტი</p> <p>ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ, იმ ერთის პოვნის თუ გახდი ღირსი... არაერთს ისე მოსვლია ბოლო-თვლიც ვერ მოჰკრა განენილს მისთვის</p> <p>ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ, ვინ არის იგი, ეს ღმერთმა იცის, იმ ერთის პოვნის, იმ ერთის ხილვის ათასში ერთი გამხდარა ღირსი...</p>	<p><b>მეღვა კახიძე</b></p> <p>***</p> <p>ვისაც სიყვარული შეუძლია იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს, ვისი ცხოვრების გზაც შეუვლია, ვისაც არასოდეს გაუმართლდა – მაინც სიხარული შეუძლია. ვისაც იმედები პურად ყოფნის, ვინც მთელ ქვეყანაზე ეულია, ვისაც, სიყვარულით უარყოფილს, სხვისი სიყვარული შეუძლია. იმ ქალს, იმ ბერიკაცს, გაუმარჯოს, ვისი სიმღერებიც მწუხარია, ვისაც სიხარული გაუადრდა – სხვისი გაღიმება უხარია!</p>	<p><b>სულ ახლახანს შექმნილი ოჯახი</b></p> <p>საბარჯოელება, ანა ხმობელაშვილი და თემო აბაზაძე ორიოდე თვის წინ შექმნეს ოჯახი – სიყვარულბაღმარაჩვილი. ვულცავთ! დღეს ანა ამ სიყვარულზე გვესაუბრება</p>
---	--	---

## 12 წლის ოჯახი „სიყვარული, კალსა შენსა“... ეძვნება დათო ბუხარიაშვილს



ეს იყო 12 წლის წინ... XXI საუკუნის გაზაფხულზე... გიჟმა და არეული მარტის თვეში, მაშინ როცა სამყაროში ყველა ატომი მოლეკულების ტანგოს ასრულებს. მეც ამ ქალსურ მოძრაობაში გეძებდი – ჩემი სულის ნახევარს. გიჟოვე და მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთის ოცნებით დავალთ. შენ დიდი სულის ადამიანი ხარ. ქვეყნად აღარ არიან “კაი ყმები”. აღარ არის გატანა, სიყვარული, ერთგულება. მეტია ბოროტება, გაწირვა, გაუტანლობა... შენ ეს ყოველთვის გტკიოდა და ახლაც გტკივა.

მე, როგორც ფიზიკოსი, ყოველთვის ვასწავლიდი, რომ ფიზიკურ სიდიდეებს აქვთ თავისი ეტალონები. შენ ჩემთვის და არამარტო ჩემთვის, კაცობის ეტალონი ხარ. მიწაზე მხოლოდ რჩება სახელი, ყველა დანარჩენი ჩამავალ მხეებს მიბარდება... ცა – ჩვენი სულის უკანასკნელი მისამართი... დრო და მანძილი არ არსებობს სიყვარულისთვის... შენს

გარეშე ვერ მივაღწევ მხემდე და ცამდე... მუამაყები და არ მინდა როდესმე ვიგრძნო გულში უშენობის სიმარტოვე. მიყვარხარ!... დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო!

**\*\*\***

გათენდა... სიმშვიდე დამეკარგა დღის თქარუნ-ში და სადღაც დამესავით მიიღია. შენი ზღაპრული აღნაგობა: მხრები – უფლის ხელით ნაბრტყელები, მკლავები - ოქროს საღტეები, შენი დიდრონი ნატერფალები, დიდი ბუჭები... მათი სილიდე – იცი, მე როგორ გამიკვირდა? დიდხანს გიყურე და მინდა გითხრა გრძნობის შეკავება გამიჭირდა...

**\*\*\***

შენი თვალების ფერს იღებს დღე-ღამეობა... და იცი, როგორ მეშინია, უშენუნახავს არ ამოხდეს სული, ბუნება მართლაც შეშლილია. მხრებზე დამე მაწვეს ტვირთით და ჩემი ცა გამხდარა მოავდრე მიყვებები ღრუბლების ტენებას და უძილო დამეებიც მომრავლდნენ. დამეობა... გულს ბინდი ეკიდება, შენთან ვარ და მაინც მეშინია...



მართლა ბევრს გავუძელები. – რას ეტყვი შეყვარებულებს? – ყველას, ვისაც გიყვართ და გინდათ რომ მასთან ერთად იყოთ, არაფერზე არ იფიქროთ ცუდზე, გააძლიერეთ ერთმანეთი და ინქარეთ, დრო არ დაკარგოთ საყვარელი ადამიანის გასაბედნიერებლად.

## სიყვარულის მომლოდინე – სიყვარულზე ჩვენ გვჭირდება სიყვარული



სიყვარული არის ცნება, რომელიც ადამიანის შექმნამდე არსებობდა. ათასწლეულების მანძილზე იგი აღმოცენდა ყველა ცოცხალ არსებაში და რაღა თქმა უნდა, ადამიანში, რომელიც ხილული სამყაროს მშვენიერების პიროვნების შინაგან სამყაროში. მისი საშუალებით ადამიანი სწორად და დადებითი კუთხით ურთიერთობს საზოგადოებასთან. სიყვარულის უნარს მიჰყავს ადამიანი უფლამდე. იგია ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება, რომლითაც პიროვნებას უადვილდება განსაცდელების დაძლევა, დაბრკოლებების გადალახვა. სიყვარული თვით მადლია, რომელსაც ხან ცნობიერად, ხანაც შეუცნობლად ატარებს ადამიანი. დღეს, როცა ასე რთულია მართალი გზით სვლა, როცა კაცთა გულები გაცეუბულია და ახლოს არ უშვებენ სულიერ სიბოლს, განსაკუთრებით საჭიროა ურთიერთსიყვარულის გაძლიერება. საამისოდ კი რწმენის მომატება გვჭირდება. მხოლოდ ის, რომ ჩვენ, როგორც ადამიანები, შეგვიძლია ბუნებისა და შემოქმედებითი მშვენიერების შეგრძნება და შეყვარება, არ კმარა. ადამიანის სულიერებას მატერიალური სამყაროს სიყვარულთან ერთად უჭკველად ესაჭიროება ადამიანური სიყვარულის გაძლიერება. მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება ის სრულფასოვანი პიროვნებად. სრულყოფილება ხომ ცნებაა, რომლისკენაც ცნობით თუ შეუცნობლად მისწრაფვის ყოველი ხორციელი.

*ნატო ონაშვილი, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი*

ცენტრში მოიაზრება. ადამიანი გონიერი არსებაა, მაგრამ სიყვარულის სივრცელე ვერ ეტყვა მხოლოდ გონიერებაში, მას უფრო ამაღლებული და საყრდენი სჭირდება, მაგალითად როგორცაა სულიერი სათნოებები. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ადამიანური სიყვარულის ფენომენია. ამ სიყვარულს უსაზღვროდ შეუძლია განვითარება და ღვთიურამდე ამაღლებასაც ახერხებს ერთეულ შემთხვევებში. როცა ადამიანი ქვეყნას ვლინება, ხშირ შემთხვევაში ის ხვდება გარემოში, სადაც ის უყვართ და გამოხატავენ ამ სიყვარულს. სწორედ გარემოს შესაფერისად ყალიბდება ბავშვში სიყვარულის უნარი. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი

## 14 აპრილი „დედა ენის“ დღია!

### ქართული ანბანის სურნელით

**ეს** თვალმახარა გოგო-ბიჭები, სურათებიდან რომ შემოგლიძიან საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მეორეკლასელები (სურათი №1) და მეოთხეკლასელები არიან (სურათი №2) მეორე კლასელებს მათმა პირველმა მასწავლებელმა ლეილა სანთელაძემ შეასწავლათ „დედა ენა“, მეოთხეკლასელებს – გიული გრძელიშვილმა. ორივე გამოცდილი, კარგი თაობების აღმზრდელები და დამკვალიანებლები არიან. საოცარი რულუნებით, ჩაძიებით, ჩაკირიტებით ასწავლიან თავიანთ მოსწავლეებს სიყვარულს და პატივისცემას ყოველივე ქართულიდან. სწორედ მათთან შეხვედრას ოცნებობდნენ ჯერ კიდევ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. აინტერესებდათ, ცნობისმოყვარეობით ელოდნენ მათთან პირველი შეხვედრის სიხარულს. და გაუმართლათ კიდევ – ამას თავადვე აღიარებენ თავიანთი ბავშვური ემოციებით. გაფაციცებით აღევნებენ თვალ-ყურს მათ თითოეულ მოძრაობას, შეკითხვებს, მათ მიერ ახსნილ, გადმოცემულ მასალას. ჯერ კიდევ პირველ კლასში მასწავლებლების ახსნილი, მათ მიერ წითელი მელნით მოხაზულ ლამაზ ასოებს ამსგავსებდნენ თავიანთი ბავშვური, გაუწაფავი ხელით რვეულის თეთრ ფურცლებზე გამოყვანილ ქართულ ასოებს. ზოგჯერ ხელისგულებიც უოფლიანდებოდათ, იქნებ მეტი დაძაბულობისგან შუბლიც დაცვაროდათ, მაგრამ ცდილობდნენ ისეთივე ლამაზი და ნატიფი ყოფილიყო მათი ხელით დაწერილი ასოები, როგორც იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენაში“ ამოქარგა და ამოავვირისტა.



მეორეკლასელები ახლა თვითონ კითხულობენ ზღაპრებს, ვაჟა-ფშაველას პატარ-პატარა მოთხრობებს. ვაჟაკა თვლიაშვილი თვითონ კითხულობს მითებს, ახლახანს ჰეფესტოზე წაუკითხავს და აღფრთოვანებას ვერ ფარავს. რაღა დროს ზღაპრებია, მითები უფრო საინტერესოა და სათავგადასავლო ხომ საინტერესო და საინტერესო. ტატო გზირიშვილსაც სათავგადასავლო წიგნები მოსწონს, ანი ესაიაშვილი ვაჟას შვილის ობოლ ნუკრს აუტირებია, მაკა ზალიკანიანს კი ყინულის დეფოვლის გულცივიობამ გული ატკინა... მიყვებიან თავიანთ შთაბეჭდილებებს და ის უფრო უხარიათ, რომ ოჯახის წევრებს კარგა ხანია აღარ აწუხებენ წიგნების წაკითხვით. თვითონ კითხულობენ, დამოუკიდებლად. ვაჟაკა კი ისე დამეკობრებაა წიგნს - ძილის წინაც კითხულობს, ისე ვერ დაიძინებს.

მეოთხეკლასელებს კი უკვე ქართული ანბანის შედარება შეუძლიათ უცხო ენასთან. ქართული მრგვალი, ლამაზია ვიდრე ინგლისური, - თავმოძწონენ მეუბნებიან გიორგი ბუზარიაშვილი, მარიამ ბუქიტაშვილი, ლიზი ასთავიშვილი და მთელი კლასი მათ უჭერს მხარს, - როგორც ვწერთ, ისე იკითხება და როგორც იკითხება, ისე ვწერთ, - უფრო აზუსტებს ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის უპირატესობას სხვა ენასთან შედარებისას გიორგი.



### პატარა აზერბაიჯანელები ქართულს სწავლობენ მათთვის ქართულის ცოდნა სიკეთეა



**ს**ღარავის უკვირს ის სიმართლე, რასაც უფლის ნების შეუვალობა ჰქვია, მაგრამ ხშირად, ძალიან ხშირად მიფიქრია რატომ ვარ დღეს მე იმ ბავშვების გვერდით, რომელთათვისაც ძალიან უცხო და ვერცერთ ვერში დახანახია ქართული სიტყვის ძველმაგრობა, შეიძლება სიტყვილობა, სისხლის სუნობა, გულის ტკივილი და აზრის შინაობა. ვერ გამიმეტებია ჩემი სულის საზრდოთი აშენებული სიტყვის ავლა-დიდება მათ პატარა სულის ქოხ-მახეტთან დროშის სიმძიმით, ზარის სიდიადით ჩამოვიდო, რადგან ვერ დასძრავენ! მაგრამ ეს შიში ხშირად გამქარწყლებია და გაცემის მორევს წავეუღივარ, - რა მონდომებით, რა ძალისხმევით ცდილობენ ისინი ქართული ენის შეგროვებას. არის სიტყვები, რომლებიც მათ ენაში არ არსებობს და როცა სიტყვის აგებულებას ვუხსნი, სიმართლის სისველე პირდაპირ თვალგეზვიდან გაოცებად, აღფრთოვანებად ევფრებათ.

– “ძნელია ქართული ენა სასწავლად, სასაუბროდ, მოსათხრობად, მაგრამ როცა უსმენ, ძალიან ლამაზია. თითქოს მდერის, თითქოს ტირის, თითქოს იღიმება, თითქოს გოჯავრდება”, - მეუბნებიან გამართული, ბგერადაუკარგავი ქართულით პატარა აზერბაიჯანელები. მათთვის ქართულის ცოდნა არ არის ვადლებულება, მათ-

ვის ამ ენის ცოდნა ცნობისმოყვარეობაა, მოლოდინია და იმის შეგრძნება, რომ თუ ქართული ეცოდინებათ, ყველაფრის იმედი უნდა ჰქონდეთ.

– “ მასწავლებელი, ქართული, თქვენი ღმერთის, ქრისტეს ენაა? ქართულად ლაპარაკობდა, როცა ქრისტე მიწაზე იყო? – მკითხა სამირმა, როცა ვამბობდი, რომ ქართული ყველაზე იდეალია და ყველაზე შორიდან მოდის...”

თანამდებობებისთვის, სამსახურებისთვის არ სჭირდებათ მარტო ქართული! არ სჭირდებათ მაღაზიებში და გზებში უხერხულობის გასაფანტად! იმის გამო, რომ ვინმეს აჩვენონ იმ ენის ცოდნა, რომელიც იმ ქვეყნის ენაა, სადაც ცხოვრობენ ...

ქართულის ცოდნა იმიტომაც არის სიკეთე, რომ მათ მესამე კი არა, მეოთხე თვალის ახელის ჯერ სურვილს და შემდეგ შესაძლებლობას აძლევს ...

ხოლო ნება დვითსა, უცნაურ და გამოუთქმელ, ამ ქართულში მოუძებნელ, და იმ ქართულში დაეანებულ დასაბადებელ სიტყვებს მიგზავნის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანებს მოსძებნის, ვინც დედა ენის და სხვა ენის გზის შესაყართან დგას და მართლა ხედავს, მართლა ესმის მშობლიურ ქართულში იორდანეს იდეალური ხმაური, ფერი და გადმოსული სულიწმინდის თრთოლვა და გიხვიზი.

დასანანია, მაგრამ სიმართლეს ვერ გავექცევით, დღეს სკოლებში და არა მარტო სკოლებში, ნვენმა შეილება დაკარგეს ქართული სიტყვის სიბრძნე და სულის გადასარჩენი “სეზამ გაიღე”. მათი ქართულის ცოდნა, მხოლოდ ის სიტყვებია, რაც დილიდან დამდეგ, ანუ გაღვიძებიდან დაღამებამდე ეყოფათ, და იქნებ არც ეყოთ ...

გაინგლისურებულმა სუნთქვამ, საქართველოს წაართვა სულხანისეული მარული და მტვერი ქართული ენისა. გაამერიკებულმა კლავიატურააწყობილმა ტესტირებებმა წაართვა ქართველებს ქართული დარდის, ქართული სიხარულის, მოლოდინის ფიქრში გადატანა.

ვინ შემოჰკრავს დღეო ზარს, ვინ?

*თამარ ურდულაშვილი*  
იორმუდანლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი



**თ**ითქოს გუშინ ყოფილიყო, ისე ნათლად ახსოვს 1976 წლის პირველი სექტემბრის ის პირველი დღეა, როცა თავის ცხოვრებაში პირველად შეაღო მანავის პირველი საშუალო სკოლის დღის გახანგრძლივებული ჯგუფის კლასის კარები როგორც აღმზრდელ-მასწავლებელმა. კარგად ახსოვს ახალ გარემოში პირველად მოხვედრილი პატარების ცნობისწადილით მონერგებული მზერა და მათი გაუწაფავი ხელით გამოყვანილი ქართული ანბანის კონტურები. მათ მიერ პირველად დაწერილი და წაკითხული “აი ია”.

მას შემდეგ ავერ უკვე 37-ე წელია, რაც დაწვებითი კლასების პედაგოგის რთულ, საპატიო და საპასუხისმგებლო მისიას ერთგულს და თავისი ცხოვრების სავალად გაუხდია ქალბატონ იამზე მჭედლიშვილს. 1976 წლიდან 2006 წლის სექტემბრამდე ის მანავის №1 საჯარო, შემდეგ კი მანავის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგია. ყველა, ვისაც კი ოდნავი შეხება ჰქონია სკოლასთან და მასწავლებლებთან, დაგვეთანხმება, რაოდენ რთული და საპასუხისმგებლო მისია აკისრიათ მათ. სწორედ მათი ხელით ევრება საფუძველი ჩვენი მომავალი, განათლებული თაობების სწავლა-განათლებას. ორმაგად რთული და შრომატევადია ქალბატონი იამზე და სხვა დანარჩენი დაწვებითი კლასების პედაგოგთა მოღვაწეობა, რადგან ისინი არიან ჩვენი განათლებული მომავლის ის პირველი გუთნისდედები, ვინც პირველ ხელს ავლებენ და პირველ მარცვალს ავდებენ პატარების მეხსიერების “ყამირში”, საიდანაც მომავალში უნდა აღმოცენდეს ის დიდი და ხანუკვარი

### „დედა ენა“ „შენიკული“ ოსლაჩვილები ნელი

ნაყოფი, რასაც ქართული ენის სიყვარული, ენის, მამულის და სარწმუნოების დაცვა-ერთგულლება ჰქვია. სწორედ ამის შეგნებით, ამ მოწოდებით შედის ყოველი გაკვეთილზე-ციდილობს რაც შეიძლება მეტი ცოდნის საგზალი და მარაგი ვაატანოს მომავალი სწავლა-განათლებისა და ცხოვრება-საქმიანობის გზაზე. სამისო ნიჭი და გენები კი შთამომავლობით მოსდამს კაკბეთული მჭედლიშვილების შთამომავალს. ამ გვარმა ხომ არა ერთი გამომჩენილი და ქვეყნის ერთგული ადამიანი მისცა ჩვენს რაიონს. შორს რომ არ მოგვიხდეს წასვლა, ამ გვარის ღირსეული წარმომადგენლები გახდნენ გასული საუკუნის დასაწყისში საქვეყნოდ ცნობილი ლორტკარი და მომდურალი ვანო მჭედლიშვილი, მჭერალი იოსებ მჭედლიშვილი და სხვები. სულ ახლახანს კი ქალბატონ იამზეს მისწავლის კახა მჭედლიშვილის ლექსების პირველმა კრებულმა იხილა დღის სინათლე.

დედა ენისა და მანაველი პატარების ერთგულმა, სანაქებო ოჯახიც შექმნა მანაველ თენგიზ ბერუაშვილთან ერთად და სამი ღირსეული ვაჟაკი აღუზარდა ქვეყანას. უფროსმა რამაზმა და მომდევნო ვაჟმა- ზვიადმა საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტი, ხოლო ნაბოლარა-ზურაბმა ოსუს- ოურიდიული ფაკულტეტი დაამთავრეს. მათგან რამაზი დაოჯახებულა და უკვე სამი შვილი შემატა მანავსა და ჩვენს ქვეყანას.

უხარია და ამყობს სამი შვილის და ამდენივე შვილიშვილის ბებია და ვინ მოთელის კიდევ რამდენი შვილობილისა და აღსაზრდელის მასწავლებელი, როცა თავისი მონაგარებისა და აღზრდილების სასახელო საქმეებს ივებს. ახარებს ქვეყნის წინსვლა და მომავალი თაობების სწავლა-აღზრდის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯები, რაშიც ერთ პატარა და მიკრძალვულ სიტყვას ისიც ამბობს.

მანაველი პატარების აღმზრდელსა და „დედა ენის“ მასწავლებელს ვულოცავთ 14 აპრილს – „დედა-ენის“ დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და პედაგოგიურ მოღვაწეობას ენის, მამულის და ქვეყნის უკეთესი მომავლის საშვილიშვილო საქმეში.

გ. დაბახიშვილი



